აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

09 ივნისი 2016 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე და ირაკლი გვარამია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მიულოცა პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნულ უსკოს წევრს ქალბატონ მაკა ლომაძეს უსკოს წევრად დანიშვნა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში უსკოს 7 წევრს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილებაც უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში. არჩილ მიქელაძემ, კომისიას გააცნო პ/გ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ქალბატონი მაკა ლომაძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/15 თარიღი 09/06/20016 წელი), რის შემდეგაც, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და კომისიას დღის წესრიგის პროექტში შესთავაზა ცვლილების შეტანის წინადადება. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან არის საარჩევნო პერიოდი კანონის თანახმად, უსკო შედგება თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან შესაბამიად, დღის წესრიგის პროექტის მიხედვით პირველ საკითხად წარმოდგენილია „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი რომლის, მიღებისათვის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, საჭიროა უსკოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი, (კომისის მინიმუმ 9 წევრის ხმა) გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ სხდომაზე ესწრება კომისიის მხოლოდ 8 წევრი დადგენილების მიღებისათვის კანონის თანახმად, კომისიას არ აქვს სრული შემადგენლობის ორი მესამედი რისთვისაც დღის წესრიგის

პროექტიდან უნდა მოიხსნას პირველი საკითხი - დადგენილება „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“.

სხდომაზე გამოცხადდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - ირაკლი გვარამია

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიას გააცნო პ/გ საქართველოს კონსერვატიული პარტიის მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ბატონი ირაკლი გვარამია (უსკოში რეგისტრაციის №01-26/18 თარიღი 09/06/20016 წელი).

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე შეთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება - საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება - საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

1. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, უსკოსა და უსკოს აპარატის მიერ შემუშავებული იქნა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, სადაც გაიწერა არჩევნებთან დაკავშირებით ყველა პროცედურა და ვადები არჩევნების დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N 30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

(თან ერთვის)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უსკო განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მან აღნიშნა, რომ იმ პარტიებისათვის ვინც უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტს და რეგისტრაცია არ აქვს გავლილი ცესკო-ში, აუცილებელია წარმოადგინოს კანონით დადგენილი მხარდამჭერთა ხელმოწერები, რისთვისაც საჭიროა უსკოს მიერ დამტკიცდეს მხარდამჭერთა სიის ბლანკი, ასევე ისაუბრა საარჩევნო პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის შესახებ, რომელიც პარტიის წარმომადგენელს უნდა გადაეცეს უსკოში პარტიის მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ და სხდომაზე წარმოდგენილ საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პარტიის მხარდამჭერთა სიის ბლანკი (ფორმა №3-07.01.01);
ბ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა№6-07.01.01);
გ) საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის ბლანკი (ფორმა№3-07.02.01.);
დ) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.02.01);
ე) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათი (ფორმა №4-07.01.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.
3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **თამარა ხოზრევანიძე**